# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

## ბრძანება №14/ნ
## 2021 წლის 29 აპრილი

## ქ. თბილისი

## „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქალაქ მცხეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებული - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ქანდის საჯარო სკოლისათვის საშუალო საფეხურის დამატებისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ქალაქ მცხეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებულ – მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ქანდის საჯარო სკოლას დაემატოს საშუალო საფეხური.

**მუხლი 2**

შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში (სსმ, №112, 26/09/2005) და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ით გათვალისწინებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქალაქ მცხეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებული საჯარო სკოლების 26-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | |
|---|---|---|---|
| 26 | მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ქანდის საჯარო სკოლა | სოფელი პატარა ქანდა | დაწ-საბ-საშ |

**მუხლი 3**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქალაქ მცხეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებულმა – მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ქანდის საჯარო სკოლამ უზრუნველყოს ავტორიზაციის მოპოვება 2021 წლის 1 ნოემბრამდე, ხოლო ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში 2021-2022 სასწავლო წლის პირველი სემესტრის განმავლობაში განახორციელოს მოსწავლეების მიღება საშუალო საფეხურზე.

**მუხლი 4**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს განათლებისა და**
**მეცნიერების მინისტრი** — **მიხეილ ჩხენკელი**